ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 14
(11 675)

28 თებერვალი - 3 მარტი (პარასკევი - ორშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

# ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ – ᲣᲛᲔᲓᲚᲝᲓ!

ეს მოთხოვნა უკვე ჩვეულებრივ ნორმად იქცა, სავალდებულოდაც, რადგან ძიუდოისტთა ყოველი ტურნირი, რომელთა რანგი უმაღლესია, ახლა სალიცენზიოა და ყველა ცდილობს რაც შეიძლება მაქსიმუმი მიიღოს თითოეული ასპარეზობიდან.





დავით მარგოშვილი

საქართველოს ნაკრებში უკვე გამოიკვეთნენ ლიდერები, რომლებსაც გულმოდგინედ აკვირდებიან აგრეთვე უცხოელი სპეციალისტები, კონკურენტი სპორტსმენები. ამ დღეებში ჰამბურგში (ადრე ტარდებოდა მიუნხენში) გამართულ „სუპერ A“ კატე-



ზვიად ხანჯალიაშვილი

გორიის ტურნირში, ჩვენებმა საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე შეაბიჯეს. დავით მანგოშვილმა (66 კგ) უძლიერესის სახელი მოიპოვა, ნესტორ ხერგიანი (60) მეორე იყო, ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე) – მესამე. დანარჩენებიდან შედარებით უკეთ იასპარეზა ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე), რომელიც მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

2 1 3
ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ

*60 კგ:* 1. პაიშერი (ავსტრია)
2. **ხერგიანი** (საქართველო)
3. უჩიშობა (იაპონია)
კენი უემაცუ (ესპანეთი)
*66 კგ:* 1. **მარგოშვილი** (საქართველო)
2. მაციევი (რუსეთი)



ნესტორ ხერგიანი

3. ვერდე-არენციბია (კუბა)
პენიასი (ესპანეთი)
*73 კგ:* 1. კანამარუ (იაპონია)
2. კიოში უემაცუ (ესპანეთი)
3. მასინა (საფრანგეთი)
ნეტო (პორტუგალია)
*84 კგ:* 1. დელგადო (პორტუგალია)
2. ვანერი (გერმანია)
3. კლავერე (საფრანგეთი)
ბიშხოფი (გერმანია)
*90 კგ:* 1. ხვან ხი ტაე (კორეა)
2. იზუმი (იაპონია)
3. ალარსა (ესპანეთი)
მორგანი (კანადა)
*100 კგ:* 1. ინოე (იაპონია)
2. ზეევი (ისრაელი)
3. მაკაროვი (რუსეთი)
აკაროვი (ბელარუსი)
*+100 კგ:* 1. მიხაილინი (რუსეთი)
2. თათაროღლუ (თურქეთი)
3. **ხანჯალიაშვილი** (საქართველო)
მელერი (გერმანია)

*ფოტოები რობერტ ბაგოიანისა*

## ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲭᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ

დღეს კიდევ ერთი ფედერაცია ორად გაიყოფა — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საატო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იქნება თანამედროვე ხუთჭიდის გამოყოფა ცხენოსნობისაგან.

კონფერენცია დაიწყება 12 საათზე.

## „ᲐᲘᲚᲐᲛᲐ“ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲡ

საბჭოთა პერიოდში სვანეთში აგებული ალპური კლუბი „აილამა“ დიდ სამსახურს უწევდა არა მარტო ქართველ, არამედ მთამსვლელობით დაინტერესებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმარს. ეს ბანაკი პროფკავშირს ეკუთვნოდა. როგორც შევიტყვეთ, ახლო მომავალში შეიძლება დღის წესრიგში სერიოზულად დაისვას უკვე გაპარტახებული ბანაკის აღდგენის საკითხი.

# ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲣᲗᲐᲕᲙᲐᲪᲔᲑᲡ



ქართულ სპორტში კიდევ ერთი სასურველი პიროვნება მოვიდა – ქ. თბილისის კრივის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე, ამ ფედერაციის ხელმძღვანელად დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს ცნობილი პოლიტიკოსი, თბილისის მერიის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.

თუ ვიტყვით, რომ ჩვენი დედაქალაქი ქართული სპორტის, საერთოდ, სპორტის ცალკეული სახეობებისა და მათ შორის კრივის ადგილის დედაა, რაც მეტი გვეყოლება ერთგული და გავლენიანი თანამდგომი, მით უკეთესი. ეჭვიც არ გვეპარება, რომ კრივს თბილისში ნამდვილად გამოუჩნდა პატრონი.

• მივესალმებით!

## ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲪᲘᲔᲑ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲠᲘᲞᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა საიუბილეო მე-60 ჩემპიონატი 14 მოჭადრაკის მონაწილეობით. რეგლამენტის მიხედვით, თითოეულ მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად 2-2 საათი ეძლევა პარტიის ბოლომდე. ტურნირს დაძაბულობას და ინტერესს მატებს ისიც, რომ დებულების თანახმად, პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებენ.

პირველივე ტურიდან ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ყაიმით მხოლოდ ორი პარტია დასრულდა – დაზავდნენ მაია ლომინეიშვილი და სოფიკო ტერელაძე, აგრეთვე გავაშელი და მათნაძე. სალომე მელიამ შავი ფიგურებით დაამარცხა ხოტენაშვილი, ძაგნიძემ მოუგო ვახანიას, წერეთელმა – გვეტაძეს, ჯავახიშვილმა – ბატიაშვილს, ხოლო მელაშვილმა – ხუხაშვილს.

ბოლო დღეებში, როგორც იცით, მძვინვარებს გრიპის ეპიდემია, რომელიც ჭადრაკის სასახლეშიც შეიჭრა. მეორე ტურში ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა ხუხაშვილი, რის შედეგადაც მის მეტოქეს – ვახანიას მოგება ჩაეთვალა. ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმეს სალომე მელიამ და ნანა ძაგნიძემ, რომლებმაც შესაბამისად გავაშელი და ლომინეიშვილი დაამარცხეს.

ორივე მოჭადრაკეს 2-2 ქულა აქვს და ჩემპიონატს ლიდერობენ. 1,5-1,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ ჯავახიშვილი, მელაშვილი, წერეთელი და ტერელაძე.

გაგაცნობთ მეორე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: ბაციაშვილი – მელაშვილი 0,5:0,5, წერეთელი – ჯავახიშვილი 0,5: 0,5, მათნაძე – გვეტაძე 0,5:0,5, ტერელაძე – ხოტენაშვილი 1:0.

მესამე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ლომინეიშვილი – ვახანია, ხოტენაშვილი – ძაგნიძე, გავაშელი – ტერელაძე, გვეტაძე – მელია, ჯავახიშვილი – მათნაძე, მელაშვილი – წერეთელი, ხუხაშვილი – ბაციაშვილი

## ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ:

● „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲔᲓᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲩᲐᲔᲠᲘᲐ

❖ **ᲯᲐᲜᲧᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲐᲨᲨ-Ს ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ**

● ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲡ?

❖ **101 ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

● ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲐᲤᲮᲐᲖᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐ...

❖ **ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ, ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ...**

● ᲤᲘᲓᲔ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ – ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲡ

# ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲛᲓᲔ:




## ᲚᲐᲢᲕᲘᲐ ᲤᲘᲓᲔᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

*ლატვიას საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) წევრობის სტატუსი ჩამოართვეს, რის უმთავრესი მიზეზი ამ ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის უმძიმესი ფინანსური მდგომარეობაა. საქმე ის არის, რომ ფედერაციის დავალიანება ფიდესადმი შეადგენს 15 ათას 886 შვეიცარიულ ფრანკს.*

ლატვიის საჭადრაკო ფედერაციას ფინანსური პრობლემები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც 90-იან წლებში გაკოტრდა ქვეყნის წამყვანი კომერციული ბანკი „ბანკა ლატვია“, რომელიც ფედერაციის გენერალური სპონსორი იყო.

1995 წელს ჩატარდა მიხეილ ტალის ხსოვნის დიდი საჭადრაკო ტურნირი, რის ხარჯებს ბანკი და ფედერაცია ძლივს გასწვდა, თუმცა ამის შემდეგ უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა და წამყვანი მოთამაშეები სხვა ქვეყნებში გაიქცნენ. ასე მაგალითად, რიგელი მოჭადრაკეები ალექსანდრ შაბალოვი და ანა ხანი აშშ-ს ჩემპიონებიც კი გახდნენ, იუზეფ პეტკევიჩი პოლონეთის წამყვანი მოჭადრაკეა და ა.შ. ლატვიის ფიდეს წევრთა სიიდან ამორიცხვა ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნის მოჭადრაკეთა ნაკრებები ვერ გამოვლენ საჭადრაკო ოლიმპიადებზე. ლატვიის საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობამ დახმარებისათვის მიმართა ქვეყნის წამყვან მოჭადრაკეებს.

## ᲗᲣᲠᲛᲔ ᲛᲐᲚᲓᲘᲜᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲣᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲐ



„ლოკომოტივთან“ მატჩი „მილანის“ კაპიტან მალდინისათვის სარეკორდო აღმოჩნდა: ეს იყო მისი 118-ე მატჩი ევროპის საკლუბო ტურნირებში, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ევროპაში. წინა რეკორდი ეკუთვნოდა მის თანამემამულე ჯუზეპე ბერგომის — 117 მატჩი.

## ᲔᲡ ᲠᲐ ᲓᲐᲣᲮᲐᲢᲐᲕᲡ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲡ?..

მაიკ ტაისონმა კლიფორდ ეტიენთან ბრძოლის დროს „მოახდინა“ ახალი ტატუირებული ნახატის „პრეზენტაცია“. მას მარცხენა თვალთან ორნამენტები ჰქონდა მოხატული. თურმე ამ ნახატმა ახალზელანდიელების მძაფრი რეაქცია გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ნახატი ახალზელანდიელი ხალხის ტრადიციული ორნამენტი ყოფილა. როგორც ოკლენდის უნივერსიტეტის ისტორიკოსი ნგარინო ელისო აცხადებს, არავის აქვს უფლება ძველი ხალხების ისტორიული ტატუირებული ნახატები მიითვისოს



„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ:



ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ!..

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ

## 2006 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲖᲐᲓ „ᲓᲔᲚᲔ-ᲐᲚᲞᲘ“

იტალიის საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ დირექტორმა ანტონიო გირაუდომ განაცხადა, რომ სტადიონ „დელე ალპიზე“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2006 წელს დასრულდება. „ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის შეწყვეტს „იუვენტუსი“ ამ სტადიონის ექსპლუატაციას. სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ „დელე ალპი“ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იქნება“ — განაცხადა გირაუდომ.

ATHENS 2004

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 5 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 11 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

## საქართველოს სპორტული რუკა



### საჩხერე და სპორტი განუყოფელია

საჩხერეში რაიონული პირველობები სპორტის ცალკეულ სახეობებში კვლავ „გამოიხმეს წარსულიდან". ბოლო წლებში ყველასათვის სპორტის ხელმისაწვდომ სახეობებში ეჯიბრებიან ერთმანეთს სხვადასხვა ასაკის ადამიანები. ახლახან ***მაგიდის ჩოგბურთელთა*** პირველობაში 36 მონაწილე ჩაება, რომელთა შორის 12-13 წლის მოზარდებიც იყვნენ. თორმეტმა რჩეულმა წრიული სისტემით განაგრძო ბრძოლა პირველობისათვის. 11 მოგებით უძლიერესის სახელი მოიპოვა ინჟინერმა მალხაზ არჩვაძემ, მეორე იყო სტუდენტი დავით შეყილაძე, მესამე — მოსწავლე თორნიკე მაკასარაშვილი.

***ჭადრაკში*** მხოლოდ მოსწავლეებმა იასპარეზეს. ტურნირი მიეძღვნა ჭორვილის საშუალო სკოლის დირექტორის თამაზ ქემერტელიძის ხსოვნას. გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: 1. სოფიკო აბჟანდაძე (1-ლი სკ. X კლ), 2. მარიანა ღულუნაშვილი (მე-2 სკ. VIII კლ), 3. მარიამ გაფრინდაშვილი (სოფ. საირხის სკ). ბიჭები: 1. ირაკლი მესხი (1-ლი სკ), 2. დათო ფოფხაძე (სოფ. ორღელის სკ), 3. გიორგი დვალი (სოფ. ჭორვილის საშ. სკ), ამ ტურნირს სანაქებოდ უმასპინძლა ჭორვილის საშუალო სკოლამ (დირექტორი კახა ქემერტელიძე).

### სოფელ ჭორვილს ევროპული სტანდარტის სპორტკომპლექსი ექნება

საჩხერის რაიონის სოფ. ჭორვილის სახელი მალე გასცდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. აქ რამდენიმე თვეში, კერძოდ, ივლისში, დასრულდება ევროპული სტანდარტის სპორტული კომპლექსი, რომელსაც ექნება ძალოსნობის, ჭიდაობის, კრივისა და სპორტული თამაშების დარბაზები, ცხადია, თავის დამხმარე სათავსოებით, გათბობით, საშხაპით და ა.შ.

**თამაზ ლაშხი,**
საჩხერე

### კარატეს ქამროსანთა ახალი ლაშქარი შეემატა

სიღნაღი თამამად შეიძლება ჩაითვალოს თბილისის შემდეგ საქართველოში კარატეს ერთ-ერთ პოპულარულ ცენტრად. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ ამ რაიონის სოფ. მაღაროში ჩატარდა სპორტსმენთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოცდები კარატე-დოში. ძირითადად შემოწმება გაიარეს კარატე-დო გოჯურიუს კლუბ „ტაოს" მოზარდმა კარატისტებმა, როგორც სიღნაღის რაიონის, ისე კახეთის რეგიონის სხვა რაიონების სოფლებიდან.

***მწვანე ქამარი*** დაიმსახურა ი. კაპანაძემ (სოფ. ჩალაუბანი), დ. ჭიკაძემ (ს. ყანდაური); ***ყვითელი:*** ვ. დოიაშვილმა, ბ. მათიაშვილმა, გ. ყორჩიშვილმა (ყველა — ჩალაუბანი), ნ. ხარებაშვილმა, შ. პაპუაშვილმა (ორივე — ს. ყანდაური). ***თეთრი:*** გ. ზაკაშვილმა, გ. მაზიაშვილმა, ჯ. მაზიაშვილმა, გ. ხიზამბარელმა, რ. ტრინკოზაშვილმა, ტ. ბახტურიძემ, გ. აბელაშვილმა, ზ. ოტიაშვილმა, დ.



ფოტო რობერტ ბაგოიანისა

მაზიაშვილმა, შ. ქერელაშვილმა, გ. ბაინდურაშვილმა, ბ. ბაინდურაშვილმა, შ. ვარსიმაშვილმა, გ. ყანდაშვილმა, შ. უსუფაშვილმა, ვ. მათეშვილმა, გ. ქადაგიშვილმა, ე. ბეროშვილმა, ო. ქადაგიშვილმა, რ. უსენაშვილმა, ა. ყანდაშვილმა, გ. ბეროშვილმა, შ. ქერელაშვილმა, ზ. ქადაგიშვილმა, ა. ქადაგიშვილმა, ი. გოგინაშვილმა, ფ. უსენაშვილმა, რ. შაიშმელაშვილმა, ლ. გოდერძიშვილმა, გ. უსენაშვილმა, გ. ძნელაშვილმა, ვ. ძმანაშვილმა, დ. უსენაშვილმა, ლ. კოჭლამაზაშვილმა, გ. ლათიფაშვილმა, გ. ცხოვრებაძემ, თ. ლათიფაშვილმა, დ. ლეკიაშვილმა, ნ. ბენაშვილმა, ბ. ცხოვრებაძემ, გ. ლეკიაშვილმა, ლ. ქუფარაშვილმა, დ. ქუფარაშვილმა, ლ. შარმიაშვილმა, გ. კოჭლამაზაშვილმა, ს. მაზიაშვილმა, ზ. ხმალაძემ, გ. კოჭლამაზაშვილმა, აგრეთვე სოხუმელმა გოგონებმა მ. და თ. შაკიებმა.

განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდნენ სკოლების ხაშმისა და ყანდაურის კარატისტები, „ტაოს" ვიცე-პრეზიდენტის ე. მამაგულიშვილის შეგირდები. აღსანიშნავია, რომ ამ კლუბის პრეზიდენტმა თეთრი ქამარი მიანიჭა გოგონებს სოფ. მაღაროდან ნ. უსენაშვილსა და ნ. ქადაგიშვილს, ქვ. ნუკრიანიდან — ნ. ხიზამბარელსა და თ. ქუფარაშვილს. ყველაზე პატარა გამოსაცდელი იყო 7 წლის უშანგი გურგენიძე სოფ. პატარძეულიდან, რომელიც ლურჯი ქამრის მფლობელი და „ტაოს" ჩემპიონი გახდა. ამ სოფლის გ. ლეონიძის სახ. სკოლა მწვრთნელებს მხარში უდგას ნორჩ სპორტსმენთა მომზადებაში.

„ტაოს" ნაკრები ვარჯიშობს თბილისში, ვარკეთილში, 196-ე საბავშვო ბაღში.

**როსტომ სამყურაშვილი**

გამოიწერეთ ლელო
2003 წლის II კვარტლისათვის ან წლის ბოლომდე!

# პროფესიონალი სიამაყესაც ნიშნავს...

**სამოციანელები**

როცა რუბრიკა „სამოციანელები" გავხსენით „ლელოში", იმ ადამიანების ღვაწლის წარმოჩენა დავისახეთ მიზნად, ვინც ასპარეზზე გამოვიდა სწორედ 60-იან წლებში და ღირსეულად ზიდა ქართული სპორტის მსახურების ტვირთი. დღეს ერთ მათგანს, ანუ იმ თაობის კიდევ ერთ გამორჩეულ პიროვნებას დავით კვინიკაძეს წარმოგიდგენთ.

ჩვენ, მაშინდელი ქართული სპორტის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ერთ ასეულზე მეტი, უკვე სტუდენტები, ერთმანეთს პირველად ფიზკულტურის ინსტიტუტში შევხვდით 1958 წელს. არ ვაჭარბებ, შესანიშნავი თაობა შეიკრიბა. 1962 წელს ინსტიტუტი დავამთავრეთ. როგორც წესი, ვინ საით წავიდა, ვინ საით, ვინ სწავლა სხვა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელა, მაგრამ ამის შემდეგაც კი, უმეტესობამ, იმ პერიოდში აღმავლობის გზაზე შემდგარ ქართულ სპორტს მოახმარა თავისი უნარი და ენერგია.

ნაცნობები თავისთავად, მალე დავმეგობრდით უცნობებიც, რასაც ხელი განსაკუთრებით შეუწყო პირველსავე კურსზე ბაკურიანში სასწავლო შეკრებამ. დათო თითქმის მასპინძლად გრძნობდა თავს, რადგან ხაშურიდან იყო, ფეხბურთსაც იქ თამაშობდა. ყურადღება ბაკურიანში არც მისი ოჯახიდან გვაკლდა.

სწორედ ოჯახიდან გამოჰყვა დათოს პიროვნული ღირსებების თვალნათლივ წარმომჩენი თვისებები. ამას სტუდენტობაშიც და მერეც, მთელი ათეული წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობით ვგრძნობდით, როგორც ჩვენ, მისი მეგობრები, ისე სხვები.

დათოს კარიერიდან ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობა მინდა განსაკუთრებით გამოვყო. ნოდარ ახალკაცის ნდობის მოპოვება ადვილი არ იყო. ეს ბევრმა იცის. არაკომპეტენტურს, მერყევს, უპრინციპოს და შესაძლებლობებში თავდაუჯერებელ კაცს გვერდით არ გაიკარებდა. ახალკაცთან დათოს დაახლოების მიზეზებით არასდროს დავინტერესებულვარ, რადგან ეს ისედაც ცხადი იყო, ანუ ის, რაც უკვე ვთქვ[illegible] და, კიდევ, თუ მეტი არა, არა[illegible] და რამც – ნაკლები!

[illegible]ორმა კაცმა საკუთარ მხრებზე გადაიტანა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე. მე კარგად ვიცი რა შიდა და გარე დაუნდობელ ძალებთან იყო დაკავშირებული ჩანაფიქრის მიყვანა ბოლომდე. ეს ორი პიროვნება თავს ვალდებულად თვლიდა სწორედ მაშინ, სწორედ იმ სიტუაციაში გაეკეთებინათ



ის, რაც გაკეთდა, ანუ საქართველოს პირველს მიეტოვებინა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი, რამაც, როგორც მაშინ ამბობდნენ, უფრო მეტი გაოცება და აჟიოტაჟი გამოიწვია სსრ კავშირში და მსოფლიოშიც, ვიდრე, ზუსტად იმ ხანებში ლიტვის კომპარტიის გაყრამ საკავშირო კომპარტიისაგან.

კაცს სიამაყე უნდა გააჩნდეს, რასაც ფასი მაშინ აქვს, თუ ეს პოზა არ არის. საზოგადოება ყოველთვის პატივს იმას მიაგებს, ვინც თავისი ადამიანური ღირსებებით და მაღალკვალიფიციურობით წარმოგვიდგება ამაყ პიროვნებად, ამასთან, ბუნებრივად, თავდამბლურად. დავით კვინიკაძეს სწორედ ასეთს იცნობენ. რამდენი გვინახავს თანამდებობიდან წასვლის შემდეგ სიამაყე ჩამქრალი, მუხტდაცლილი. დათოსნაირები გამონაკლისები არიან, – ერთ სიმაღლეზე რჩებიან მუდამ. მასთან საუბარი სასიამოვნოა ყოველთვის. ოფიციალურ თათბირებზე უფრო მეტს ისმენდა, ვიდრე თავად ლაპარაკობდა, ყველაზე კრიტიკულ მომენტში შეიძლება ერთი-ორი სიტყვა ჩაერთო, და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. ხოლო თუ დაურთავდა: „მე „სატოპკე" აგიწიე"... უფრო მეტი სიცხადე შეჰქონდა განსასჯელ საკითხში, რაც ამასთან იმას ნიშნავდა: „დანარჩენი შენ იცი!"

დათოს, ამ პერიოდში, რაც ის, ასე ვთქვათ, დროებით უმუშევარია, არ ვიცი, ჰქონდა თუ არა რაიმე შეთავაზება. პირადად ჩემგან ჰქონდა. თავაზიანად აღიქვა, მაგრამ არ დამთანხმდა. არა იმიტომ, რომ მის პიროვნულ ღირსებას არ ეკადრებოდა ეს შეთავაზება, დელიკატურად მიმახვედრა, რომ ეს შეუძლებელი იყო მიზეზთა გამო.

არც ინტრიგები დაჰკლებია, არც დაპირისპირება და არა მხოლოდ პირადი ღირსების, არამედ საქმიანი პოზიციის დასაცავადაც. ცხოვრებას ზოგჯერ იქნებ მკაცრი, უსამართლო განაჩენიც გამოუტანია, მაგრამ ქედდადრეკილი არავის უნახავს, ღირსეულ კაცად დარჩენილა ყოველთვის.

... კარგი ორგანიზატორი უპირატესობას ყოველთვის ანიჭებს ხელმძღვანელობის გუნდურ პრინციპს, რჩევას კი არ თაკილობს, პირიქით, ეს მისი სტილია. ამ სტილით მუშაობდა დათო ყველგან, ახალგაზრდული იქნებოდა თუ სპორტული ორგანიზაციები. ხშირად იკვეთებოდა ჩვენი გზები თუ საერთო საქმის მიზნობრივი ინტერესები და მუდამ მაოცებდა მისი ალღო, კონკრეტულობა, მაღალი პროფესიონალიზმი, რაც შერწყმული ჩინებულად იყო ადამიანებთან გამორჩეულად ურთიერთობის უნართან. და რაც უფრო მაღალი თანამდებობა ეკავა, განათლების სამინისტრო იქნებოდა, სპორტის სახელმწიფო კომიტეტი თუ ფეხბურთის ფედერაცია, მით უფრო უბრალოებით და თავმდაბლობით მაღალი ჩანდა, როგორც პიროვნება, როგორც ხელმძღვანელი.

შემიძლია მოვიყვანო დათოს თავმდაბლობისა და თანადგომა-თანაგრძნობის უამრავი მაგალითი, მაგრამ ეს შეუძლებელია საგაზეთო წერილში, ხარისხით რამდენიმეს გამორჩევაც, ისევ და ისევ მათი სიმრავლის გამო გამიჭირდება.

ბევრჯერ მიფიქრია პროფესიონალებს ზოგჯერ რატომ ბოლომდე არ სწყალობთ ბედი. დათო ისეთი პროფესიონალია, რომელიც არც ბედს დაემდურება და არც საქმეს დაუწყებს ძებნას, მისნაირი საქმემ თავად უნდა მოძებნოს. მოძებნის კიდეც. მე ამის მჯერა!

**თენგიზ ბაჩიჩილაძე**

**გამოხმაურება წერილზე**

# „ღირს კი სკოლიოზის განკურნება"?

**„ლელოს" რედაქციას!**

თქვენი გაზეთის 2003 წლის 14-17 თებერვლის მე-10 ნომერში რუბრიკით „ჯანმრთელობის კუთხე" გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით — „ღირს კი სკოლიოზის განკურნება", რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აშშ-ს ერთ-ერთმა პოპულარულმა სამედიცინო ჟურნალმა გამოაქვეყნა სენსაციური ინფორმაცია თითქოსდა, ხერხემლის გამრუდება მოზარდებში ათეული წლების შემდეგაც არავითარ შესამჩნევ მავნე ზეგავლენას არ ახდენს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სტატიაში არ არის მოყვანილი ხერხემლის გამრუდების არც ფორმები და არც ხარისხი. ამდენად ეს ინფორმაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად და დამაჯერებლად. ჩვენი 50-წლიანი გამოცდილება და არსებული სპეციალური ლიტერატურა გვაძლევს უფლებას აღვნიშნოთ შემდეგი: ხერხემლის გამრუდება მაშინაც კი, როდესაც იგი პირველი ხარისხისაა, მკურნალობის გარეშე არ უნდა დავტოვოთ, რადგან მან შეიძლება მიიღოს პროგრესული ფორმა და ჩამოყალიბდეს კუზი.

თუ ხერხემლის გამრუდება წინათ იყო ცნობილი როგორც სკოლიოზი, ბოლო 35-30 წლის განმავლობაში მსოფლიოში არსებული ლიტერატურის მონაცემებით, მას ეწოდება სკოლიოზური დაავადება იმდენად, რამდენადაც გარდა კუზისა, ეს დაავადება ხასიათდება დამახასიათებელი ცვლილებებით: ცენტრალური ნერვული სისტემის ნერვკუნთოვანი და საყრდენ სამოძრაო აპარატის, გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მხრივ. ასე რომ, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე და მსოფლიო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სკოლიოზური დაავადება ნებისმიერი ფორმისა და ხარისხისა მოითხოვს კომპლექსურ მკურნალობას.

პატივისცემით,

**ო. ვირუბოვი,**
შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი, დოცენტი.

**რედაქციისაგან: კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ ინტერნეტში ამ ინფორმაციის რუსული ვარიანტი. ყველაფერი ისე მივაწოდეთ მკითხველს, როგორც რუსულ წყაროშია. დავძენთ მხოლოდ, რომ ზემოხსენებული გამოკვლევა გამოქვეყნებულია აშშ-ის ჟურნალ „American Medical A Ssociation"-ის 2003 წლის იანვრის ნომერში, სადაც შეიძლება ტექსტის სრულად გაცნობა.**

# «ძია ვასო»



სსრკ პირველი ჩემპიონატის პირველ ჩემპიონთან ვასილ ილურიძესთან (61 კგ) ერთად საქართველოდან თავისუფალ ჭიდაობაში 1945 წელს ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგში) ჩემპიონები გახდნენ დავით ციმაკურიძე (79 კგ), ვალარშაკ მაჩკალიანი (87 კგ) და არსენ მეკოკიშვილი (+87 კგ).

ჩვენებიდან პირველი ოსტატებიც ეს ფალავნები და კიდევ შალვა ნოზაძე იყო. ვასილ ილურიძე ასევე ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკური (1945 წ.) საკავშირო (1958 წ) და საერთაშორისო (1960 წ.) კატეგორიის მსაჯი, საქართველოსა (1961 წ) და სსრკ დამსახურებული (1962 წ.) მწვრთნელი იყო.

პირველ ჩემპიონს ეკუთვნის ერთი რეკორდიც, იგი სსრკ შვიდგზის პრიზიორია თავისუფალ ჭიდაობაში და ერთხელ კლასიკურშიც (ბერძნულ-რომაულში).

ვასოს დებიუტი „ქუჩურ" ჭიდაობაში შედგა, სადაც 13 წლის ბიჭი გამოჩენილმა მწვრთნელმა პეტრე იორდანიშვილმა ნახა და თავის დარბაზში („პეტრეს დარბაზში") მიიყვანა სავარჯიშოდ კლასიკურ ჭიდაობაზე (თავისუფალი ჭიდაობის დანერგვა ჩვენში 1944 წლიდან დაიწყო). ეს იყო 1938 წელს. მაშინ ვასო უბნის (ნაძალადევში) ჯილად ითვლებოდა. სხვათა შორის, ვასოს მამას ალექსანდრესაც (სანდრო) უცდია ძალა ჭიდაობაში. ილურიძეები ქსნის ხეობიდან არიან, თავად ვასო დედაქალაქში დაიბადა და აღიზარდა.

ზემოთ ჩამოთვლილი სპორტული შედეგების გარდა, 16-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობებში. ხუთჯერ მოიგო სსრკ პროფკავშირების პირველობა, ორჯერ — სტუდენტთა საერთაშორისო თამაშები, გაიმარჯვა ბერლინის საერთაშორისო ტურნირზე, აგრეთვე ჩეხ, გერმანელ, უნგრელ, მოჭიდავეებთან სამატჩო შეხვედრებში. როგორც „დუბლიორი" იმყოფებოდა ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე. ვასოს წონით კატეგორიაში (67 კგ) იქ კიეველი არმენ იალტირიანი საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა. ხოლო, ოლიმპიური ჩემპიონი ფინეთში შვედი ანდერბერგი გახდა, ოლიმპიადამდე ბუდაპეშტში ვასოს სწორედ ანდერბერგთან ჰქონდა მოგებული საერთაშორისო შერკინება.

1952 წლიდანვე ვასო ილურიძემ მწვრთნელობა დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში, რაღა თქმა უნდა, მშობლიურ „პეტრეს დარბაზში".

სხვათა შორის, ორმოცდაათიან წლებში ქართველ მოჭიდავეთა შორის პოპულარული იყო ასეთი ერთი ლექსი:

„ვასოს თავით იმუშავე,<br>
ბალავაძის ფეხებით,<br>
კარტოზიას ფიცხი გულით<br>
და ამურას ხერხებით".

(ამურა — დავით ციმაკურიძეა).

ვასო ილურიძე ჭიდაობის ნამდვილი ფანატი იყო. 8 წელიწადს სსრკ ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს კბილებით გაჰქონდა იქ „ქართველების საქმე".

ერთხელ ვასომ თავის მეგობარს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში გივი კარტოზიას ერთ ნაოზელ (დუშეთის რ-ნი) ბიჭზე, რომელიც თბილისში ნახალოვკაში ცხოვრობდა, უთხრა — ეს ყმაწვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო! ის ბიჭი ვლადიმერ რუბაშვილი იყო, რომელიც 35-ე საფეხბურთო სკოლიდან ახალი გადმოსული იყო პეტრეს დარბაზში ანუ „ვასოს წრეში". რუსეთში ჭაბუკთა პირველ შეჯიბრებაზე რომ წავიდნენ, ვასომ ვოვას ახალი „პარუსინის" ტუფლები და ხავერდის შარვალი შეუძინა. ვოვამ კი როსტოვში პირველი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ უფრო დიდი სიხარული წინ იყო. 1961 წლის 5 ივნისს იოკოჰამაში (იაპონია) ვლადიმერ რუბაშვილი მსოფლიოს ჩემპიონი ხდება. მანამდე (1960 წ) ის რომში XVII ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი იყო. ვასო ილურიძე კი მარადიულ ქალაქში — რომში მსაჯად იყო მიწვეული. ახალგაზრდა მწვრთნელმა პირველი დიდი ტკივილიც სწორედ ვლადიმერ რუბაშვილიდან განიცადა, როცა 1964 წლის 2 თებერვალს დიღმის გზატკეცილზე ავტოკატასტროფაში დაიღუპა 24 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. სწორედ მაშინ გამოერია ვასოს პირველად თმებში ჭაღარა...

45 წლის მწვრთნელს დიდ-პატარა „ძია ვასოს" ეძახდა...

მამის მაგალითზე ჭიდაობას გაჰყვნენ ვასოს ვაჟები თენგიზი და მიხეილი, ძმისშვილი ალე ილურიძე, დისშვილები გოგი და ტარიელ კარიჭაშვილები, გივი შინჯიკაშვილი.

უამრავი ახალგაზრდა აზიარა „ხალიჩის მუზას" ვასო ილურიძემ, რომელთა შორისაც იყო კიდევ ერთი გამორჩეული ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი შოთა ლომიძე.

ლომის გვარის ღირსეულმა შვილმა დაგვიანებით, 21 წლისამ დაიწყო ჭიდაობა ჯარში სამსახურის დროს. ხოლო მოლდაველთიდან რომ სამშობლოში დაბრუნდა, ვასომ საკუთარ ბინაში, მონტინის ქუჩაზე ჩაწერა მომავალი ჩემპიონი.

საყვარელი ფალავანი შოთა ლომიძე თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ფინალში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს პრიზიორს ანატოლი ალბულს ხვდებოდა... არ ეძინა ფინალის წინა ღამეს „ძია ვასოს", თვალზე რული არ მიკარებია, ბოლთას სცემდა — იხსენებს მისი ვაჟი, იურისტი თენგიზ ილურიძე. მეორე დილით 8 საათზე მწვრთნელმა შეგირდი პეტრეს დარბაზში „ჩაკეტა" და ერთი საათი ავარჯიშა... საღამოს ფინალში კი შოთამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა! ასეთი იყო ვასო ილურიძე, მოჭიდავეებად სოფლის ორღობიდან გამოსულ ჯანმრთელ ბიჭებს არჩევდა. თბილისელებიდან კი სვანეთის უბნელ და ნაძალადეველ ყმაწვილებს აძლევდა უპირატესობას.

სამწუხაროდ, ის ორმოცდამერვე გაზაფხულს მოესწრო მხოლოდ. სანამ ფეხზე იდგა, წვრთნას არ აცდენდა. სიკვდილის წინაც იმას ამბობდა — ბიჭები ხომ ვარჯიშობენო!

ძალიან ბევრ ადამიანს უყვარდა, აფასებდნენ. 1972 წლის 17 მარტს, დამკვრელების რვა დასტა მივიდა დაკრძალვაზე, რათა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ გამოჩენილი ფალავანი და მწვრთნელი ვასილ ილურიძე. ეს თავად მისი ბოლო სურვილი იყო.

გაბრიელ ბარჯაძე

* * *

**დღეს და ხვალ (28-29 თებერვალს), დიღმის სპორტკომპლექსში ვასილ ილურიძის (1925-1972) სახელობის პირველი ტურნირი ჩატარდება 1988-1989 წლებში დაბადებულ თავისუფალ მოჭიდავეთა მონაწილეობით. ვასოს გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ ამ კეთილი საქმის სულისჩამდგმელი არიან „შევარდენის" ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლა (დირექტორი როინ დობორჯგინიძე) და ამ სკოლაში მომუშავე დამსახურებული მწვრთნელი, ბიჭიკო პაპაშვილი.**

# რკინიგზელი ფეხბურთელი ბოლო ვაგონს ეძებდა

## ახალი თაობის ფეხბურთელები

**რომან გოგინაშვილი. დაიბადა 1984 წლის 23 იანვარს, გორში. ფეხბურთის თამაში 6 წლის ასაკში დაიწყო. პირველი გუნდი კი გორის „დილა" იყო, რომელსაც ვოვა ხაჩიძე წვრთნიდა. დიდი მონდომების შემდეგ, 2001 წელს თბილისის „ლოკომოტივმა" თავის შემადგენლობაში ჩარიცხა. 2002 წელს („გოგინა" ასე ეძახიან გუნდში) მიიწვიეს საქართველოს 19 წლამდელთა ეროვნულ ნაკრებში. უცოლოა. ჰყავს მშობლები, და.**



● ***თბილისის „ლოკომოტივი" საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, რომელმაც ამ ზამთარში ერთთვიანი შეკრება ანთალიაში გაიარა. როგორ ფიქრობ, მზად არის გუნდი მეორე ტურისათვის?***

— თუ პირველი ტურის შედეგებს გადავხედავთ, მეორე ტურში ალბათ კარგად ვიასპარეზებთ. მით უმეტეს, შეკრება ძალზედ დატვირთული იყო.

● ***რას გულისხმობთ „ძალზედ დატვირთვაში?"***

— დღეში სამჯერ გვავარჯიშებდნენ. არანაირი გართობა და სულ ფეხბურთის თამაში.

● ***გამოდის რომ, მეორე ეტაპისათვის სრულიად მზად ხართ...***

— დიახ, ასეა. შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთიდან ძლიერი გუნდი დაბრუნდა.

● ***საქართველოს თასის ფინალისთვის პირველი შეხვედრა „თსუ"-სთან არც ისე კარგად ითამაშეთ...***

— თავადაც ხომ იცი, ცუდი მინდორი იყო, თან ამინდიც არ გვიწყობდა ხელს. უბრალოდ, თამაში გაგვიძნელდა, მაგრამ ხომ მოვიგეთ.

● ***იმ ნაკრებზე კიდევ რას იტყვი, სადაც შენ თამაშობ?***

— მთავარია, რომ გავედით. ისე როგორც „ლოკომოტივი", ნაკრებიც ძლიერი შემადგენლობით არის დაკომპლექტებული.

● ***მაგრამ ამხანაგურ შეხვედრებში ხომ თქვენმა ნაკრებმა თავი დიდად ვერ გამოიჩინა...***

— წაგებით ყველა აგებს. მთავარია, იტალიაში გამოვიდეთ წარმატებით და ჩვენი ქომაგები გავახაროთ.

● ***„ლოკომოტივის" თავკაცი, ლუის ცაკარიასი როგორი ადამიანია ფეხბურთის მიღმა?***

— ვარჯიშებზე ძალიან მკაცრია, მაგრამ ფეხბურთის მიღმა, ხუმარა ადამიანია. ისე, ბევრი რამის თქმა ნამდვილად არ შემიძლია.

● ***შენ როგორ შეეჩვიე „ლოკომოტივს"?***

— არც გამჭირვებია. კარგი გუნდია და ბიჭებიც კარგები არიან. შემიძლია გითხრა, რომ მათთან ვერ მოიწყენ. ალბათ დამეთანხმები.

(იხ. მე-4 გვ.)

# პატიოსნების განსახიერება

## ანუ კაცი, რომელმაც ჩინებულად იაფხაზა და იქართველა

ნიაზ ძიაპშიპა რომ გავიცანი, თავისი სპორტული კარიერის ზენიტში გახლდათ. ის თავისი თაობის ფეხბურთელებისაგან გამორჩეული პიროვნება იყო: დარბაისელი, დინჯი და კეთილშობილი, მშობლიური აფხაზეთის დამფასებელი და ქართველთა ერთგული კაცი. მისი ადამიანებთან საურთიერთო ენა ქართული იყო, თანაც როგორი, თბილისში დაბადებული ქართველი კაცის მეტყველებას რომ უტოლდებოდა, ბოლომდე ასეთი იყო და ასეთ დაუვიწყარ ადამიანად დარჩა. მან ისე ჩინებულად იაფხაზა და იქართველა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ნეტავ ბევრი აქეთ დაბადებული ქართველობდეს დღეს. ეს სრული ჭეშმარიტებაა და ვერსად გავექცევით. აფხაზეთი, როგორც მისი, ე.ი. საქართველოს განუყრელი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებმა გაწირეს და არა ნიაზ ძიაპშიპას, ვლადიმერ მარღანიას, ვიტალი დარასელიას შესადარმა აფხაზებმა და ბასა ლოლობერიძის, დავით ყიფიანის და ოთარ გაბელიასნაირმა ფეხბურთელებმა.

1976 წელს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდში იმდროინდელი სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის ინიციატივით გამიზნული რეფორმა ჩატარდა: „დინამოს" გუნდის ხელმძღვანელობა საინტერესო კვარტეტის ხელში აღმოჩნდა: უფროს მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი დაინიშნა. მის გვერდით აღმოჩნდნენ ფეხბურთში და არა მხოლოდ ფეხბურთში აღიარებული დიდი ავტორიტეტები: ნიაზ ძიაპშიპა, სლავა მეტრეველი და სერგო კუტივაძე, ამ კვარტეტს დიდი მიზნები ჰქონდა დასახული და თუ როგორ გაართვეს თავი, მკითხველისათვის, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად ცნობილია. წინასწარ შევნიშნავ, რომ ამ დიდ გამარჯვებათა შემოქმედთ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი სპორტკომიტეტის თავმჯ-



დომარის — ფ. მახარაძის შემცვლელი დ. პერტენავა თავიდან ნოდარ ახალკაცის დიდ რეფორმისტულ საქმიანობას გუნდში, უბრად შეხვდა. ეტყობა, ამ საშუალო რანგის ტანმოვარჯიშე კაცს ფეხბურთში სათანადო მრჩეველი არ ჰყავდა და, ალბათ, არც სურდა, რომ ჰყოლოდა. მთავარი რაც იყო, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გუნდის ძირითადი შემადგენლობის მასთან შეთანხმებას და ბევრ ამისთანა შიდა საქმეებში ჩარევას ითხოვდა. ნოდარ ახალკაცი კი ყველამ იცოდა რა კაციც იყო — მის მოთხოვნებს ჯიქურ აინუნშიაც არ აგდებდა და არც არაფრად თვლიდა. ნოდარ ახალკაცი მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფეხბურთის აღორძინებაზე ოცნებობდა, წარმოიდგინეთ რომ ისე იყო ამ საქმეზე თავგადადებული, ხშირად შვილებსაც დროულად ვერ მოინახულებდა ხოლმე. ნოდარ ახალკაცის გუნდმა ფართო გაგებით პირველ დიდ წარმატებას 1976 წელს მიაღწია, როცა პირველად გუნდის ისტორიაში საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. ამ წარმატებამ გუნდს ევროპის საპატიო შეჯიბრებაზე გასვლის უფლება მოუტანა. სამწუხაროდ, გუნდმა ერთ-ერთ ეტაპზე წაიფორხილა და მთელი სპორტკომიტეტი ფეხზე დადგა. იმის მაგივრად, რომ ქვეყნის თასის აღებასთან დაკავშირებით მადლობა ეთქვათ, აშკარა საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყო ნოდარ ახალკაცის წინააღმდეგ. ამ მომენტში ნიაზ ძიაპშიპამ დიდი წინდახედულება და გონიერება გამოიჩინა.

როგორც მან მითხრა, სარწმუნო წყარომ აცნობა დ. პერტენავას მიერ ნოდარ ახალკაცის გუნდიდან განთავისუფლების ბრძანების პროექტი. ჩვენ ორივე თბილისის „დინამოს" სტადიონზე ბორის პაიჭაძეს კაბინეტში ვეახლეთ. მან ქართული ფეხბურთის პატრიარქს სთხოვა, ესარგებლა თავისი დიდი ავტორიტეტით, უშუალოდ ჩარეულიყო ამ საქმეში ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. ბატონ ბორის პაიჭაძეს ნიაზმა ესეც უთხრა: მე გამწირონ, ოღონდ, ნოდარ ახალკაცს ხელი არ ახლონო. ბორის პაიჭაძე საქმეში, მართლაც ადამიანურად ჩაერია. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიამ ვითომ შესაფერისი დადგენილება გამოიტანა: ნიაზ ძიაპშიპა თანამდებობიდან გაათავისუფლა და ნოდარ ახალკაცს საყვედური გამოუტანა. უკეთესს ალბათ ის კოლეგია ვერც მოიფიქრებდა. სირცხვილი მათ! მალე ნიაზ ძიაპშიპას სლავა მეტრეველიც მიაყოლეს — დამსახურებული პიროვნება და ფეხბურთელი. ყველა გზა დ. პერტენავას და მის დამქაშებს ნოდარ ახალკაცის გათავისუფლებისაკენ მიჰყავდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა პირმა და ჭეშმარიტმა ქართველმა გიორგი ბედინეიშვილმა დაარწმუნა მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე ნოდარ ახალკაცის უცოდველობაში, რომ მისი გუნდიდან წასვლა ქართულ ფეხბურთს ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. ასე და ამრიგად, გონიერთა წყალობით, ნოდარ ახალკაცსაც ეშველა და ქართულ ფეხბურთსაც.

ბოლოს ვიტყვი: ისეთი მამულიშვილი, როგორიც ნიაზ ძიაპშიპა ბრძანდებოდა, დღეს სანთლით საძებარია. ახლა რამდენიმე ასეთი პიროვნება რომ არსებობდეს ჩვენს გვერდით, შეიძლება ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდი მალე გამრთელებულიყო.

დურმიშხან ცინცაძე

## ვინც იუბილეს ვერ მოესწრო, ხსოვნა მიუძღვნეს

როგორც ცნობილია, წლეულს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას 65 წელი უსრულდება. ამ საიუბილეო თარიღს და ამავე აკადემიის მძლეოსნობის კათედრის ყოფილ გამგეთა ხსოვნას მიეძღვნა მძლეოსანთა შეჯიბრება (დახურულ დარბაზში) საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ სპორტსმენთა მონაწილეობით. მოასპარეზეთა შორის 22 ქალი იყო.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს. ქალები. რბენა. 60 მ*** — მ. ეთიმოვა — 8,5; ***200 მ*** — ა. კუზნეცოვა — 30,0 (ორივე — სპ. აკად); ***800 მ*** — ნ. მექვაბიშვილი — 2.30,2 (ს.ტ.უ.); ***სიგრძე*** — ი. ხოროშევა — 4,98 (თსუ); ***ბირთვი*** — მ. ქევხიშვილი — 14,75 (სპ. აკად. პირადი რეკორდი).

***ვაჟები. რბენა. 60 მ*** — კ. ვაჩეიშვილი — 6,9 (ბათ. სახ. უნ); ***200 მ*** — გ. ჩხაპელია — 23,3 (თსუ); ***800 მ*** — ა. პოზივაილო — 2.05,6 (სპ. აკად); ***სიგრძე*** — გ. ამირანაშვილი — 6.15 (თსუ); ***ბირთვი*** — გ. ზაქარიაშვილი — 13,92 (აგრ. უნ).

მარიამ ქევხიშვილი



## პირველი მატჩები 25-26 თებერვალი

დილა — ვიტ ჯორჯია 2 3-0
მცხეთა — დინამო (თბ) 0-3
მერანი-ოლიმპი — ლოკომოტივი 2 1-0
მერცხალი — კოლხეთი 2 5-1
დინამო (ბთ) — კოლხეთი (ხ) 4-1

განმეორებითი მატჩები გაიმართება 28 თებერვალს და 1 მარტს.
მერვედფინალის კენჭისყრა მოეწყობა 2 მარტს 13 საათზე.




## ფანიაშვილი სერბიაში წავა

ფიფას ქართველი არბიტრი ლევან ფანიაშვილი 1 აპრილს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გაუძღვება სერბია-ჩერნოგორიისა და უელსის ნაკრებებს შორის. ჩვენებური არბიტრის მატჩის მთავარ მსაჯად მიწვევა იმას ნიშნავს, რომ მსაჯთა ოთხეული მთლიანად ქართული იქნება, ლევან ფანიაშვილის ასისტენტების ვინაობა მოგვიანებით დადგინდება.

# რკინიგზელთა სტადიონის ბედს სახელმწიფო კომისია გაარკვევს

● **სანაკრებო ბაზა მთლიანად აღიჭურვება**
● **მეტოქეებმა ჩამოსვლის გრაფიკი გვამცნეს**

სფფ-ს გენერალური მდივნის ვიზიტებისას შვეიცარიასა და თურქეთში ჩვენი ფეხბურთისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს.

შვეიცარიაში ყოფნის უმთავრესი მიზეზი კლუბების ლიცენზირების დაწყებისთვის საჭირო აკრედიტაციის მიღება იყო. ვალერი ჩოლარიამ უეფას რეკომენდაციათა ნუსხა ჩამოიტანა, რომელიც კლუბების ლიცენზირების ეროვნულ სისტემაში შევა და საბოლოო სახით ისევ უეფაში გაიგზავნება. სავარაუდოდ, ლიცენზირების პროცესი მარტში დაიწყება. პირველი სანიმუშო კლუბი თბილისის „დინამო" იქნება. ამჟამად,




ლიცენზირების მოთხოვნებს ქართული კლუბებიდან სრულად, ალბათ, ხუთი კლუბი თუ აკმაყოფილებს. დანარჩენები ეროვნულ ჩემპიონატში კი ითამაშებენ, მაგრამ ევროპულ სარბიელზე ვერ ისპარეზებენ, თუმცა, გარკვეული ვადა მიეცემათ, რომ ლიცენზირების პირობები და კრიტერიუმები ეტაპობრივად შეასრულონ.

სფფ-ს გენერალური მდივნის თურქეთში ვიზიტი სანაკრებო ბაზის ავეჯეულობით და საყოფაცხოვრებო დანადგარებით აღჭურვას უკავშირდებოდა. ანკარაში ფირმა „თოფემობილთან" გაფორმებული კონტრაქტით ავეჯი ჩამოვა. ბაზა საკონფერენციო დარბაზიდან სამზარეულომდე მთლიანად აღიჭურვება.

ვალერი ჩოლარია ორიოდე დღის წინ სახელმწიფო კანცელარიაში „ლოკომოტივის" სტადიონის საკითხზე სასაუბროდ კიდევ ერთხელ მიიწვიეს, სადაც გაირკვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით სახელმწიფო კომისია შეიქმნა, რომელშიც სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისა და სფფ-ს ჩინოსნები შევიდნენ. დღეს, 28 თებერვალს, 12 საათზე ეს კომისია „ლოკომოტივის" სტადიონს ესტუმრება და განათების სისტემას შეამოწმებს. მერე კი ქვეყნის პრეზიდენტს დასკვნასაც წარუდგენს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეებმა ევრო-2004-ის შესარჩევ ციკლში, ირლანდიელებმა და შვეიცარიელებმა ოფიციალური ფაქსებით აცნობეს სფფ-ს საქართველოში დელეგაციათა ჩამოსვლის გრაფიკი.

***ირლანდიელები 27 მარტს დაახლოებით 19 საათზე ჩამოვლენ ჩარტერული რეისით.*** დაბინავდებიან სასტუმრო მარიოტში. 28 მარტს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩია, 29 მარტს ეროვნული გუნდებისა.

ირლანდიელები თბილისიდან 31 მარტს გაემგზავრებიან ჩარტერული რეისით ტირანაში ალბანელებთან მატჩის ჩასატარებლად. კიდევ ერთი, ირლანდიელებმა ნაკრების დახურული ვარჯიშები მოითხოვეს. თანაც, შემოთვალეს არის თუ არა „ლოკომოტივის" სტადიონზე განათების ავარიული სისტემაო.

***შვეიცარიელთა ჩამოსვლა ირლანდიელთა წასვლას ემთხვევა.*** ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ლიდერთა საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია 31 მარტს ჩამოვა. ისინიც სასტუმრო „მარიოტში" განთავსდებიან. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები იმავე და მომდევნო დღეს ივარჯიშებენ. ***ორივე ოფიციალური მატჩი 2 აპრილს ჩატარდება.*** 16 საათზე ახალგაზრდული ნაკრებები, ხოლო 21 საათზე ეროვნული გუნდები ითამაშებენ. მეორე დღეს, საღამოს შვეიცარიელები შინ გაემგზავრებიან.

# რკინიგზელი ფეხბურთელი ბოლო ვაგონს ეძებდა

*(მესამე გვერდიდან)*

● ***გეთანხმები. მაინტერესებს, ვინ გიბიძგა ფეხბურთისკენ?***

— ძირითადად, მშობლებმა. მათ ძალიან სურდათ ფეხბურთელი გამოვსულიყავი.

● ***თავად?***

— რა თქმა უნდა, მეც. თუ მე არ მოვინდომებდი, რა გამოვიდოდა...

● ***ვთქვათ, რომ არა ფეხბურთი, რას შესწირავდი ახალგაზრდობას?***

— მაგაზე არც მიფიქრია, ფეხბურთის გარდა არაფერი მაინტერესებდა. შეიძლება უბანში ბირჟას შევერთებოდი.

● ***სკოლა არც ისე დიდი ხნის წინ დაამთავრე, როგორ სწავლობდი?***

— მოკლედ გეტყვი, თავიდან — კარგად, მეხუთე კლასამდე ბეჯითი ვიყავი. შემდეგ ნელ-ნელა გავზარმაცდი...

● ***რომელი საგანი გიყვარდა ყველაზე მეტად?***

— ქართული.

● ***შეიძლება ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც გკითხავ. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ რა გეგმები გაქვს?***

— ნუ გაგიკვირდება, მინდა ბიზნესმენი გავხდე.

● ***რატომ უნდა გამიკვირდეს, დღეს ბიზნესმენობაზე ვინ არ ოცნებობს. ჰობზე მინდა გკითხო.***

— მანქანები მიყვარს, მაგრამ კოლექციას ვერ ვქმნი.

● ***მართვის მოწმობა რამდენი წლისამ აიღე?***

— ავიღე, რო... უსაბუთოდ დავდივარ, ამიტომ სიჩქარეს არ ვაჭარბებ, არ ვარღვევ წესებს.

● ***თუ გამოგიჭირეს?***

— არის ხოლმე ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ ინსპექტორს ვუჩვენებ ფეხბურთელის პასპორტს და ამით მთავრდება ყველაფერი.

● ***გორსგულისხმობ?***

— დიახ.

● ***ქუჩაში გავლისას ყურადღების ცენტრში თუ მოხვედრილხარ?***

— როგორ არა. მსიამოვნებს კიდეც.

● ***მინდორზე ზოგი ფეხბურთელი მსაჯს ეჩხუბება, ზოგი მეტოქეებს, შენ როგორ იქცევი?***

— მინდორზე იშვიათად ვჩხუბობ, თუმცა, კონფლიქტურ სიტუაციებში არაერთხელ ჩავვარდნილვარ.

● ***ახლა შოკოლადით რომ იქცევ თავს, ეტყობა ტკბილეული ძალიან გიყვარს...***

— მეტყობა და ეგ არი!

● ***გეტყობა, ნამდვილად. ალკოჰოლური სასმელები თუ გიზიდავს?***

— არა, ხანდახან ლუდს ვსვამ, ისიც მხოლოდ თამაშის შემდეგ.

● ***შოუბიზნესის სამყაროსთან მწყრალად არ იქნები. რომელი მსახიობი მოგწონს?***

— რობინ ვილიამსი.

● ***მხატვრული ფილმიდან?***

— „შვიდეული"...

● ***ქართული ფილმებიდან?***

— ფეხბურთზე შექმნილი?

● ***თუნდაც.***

— თუნდაც, „ფეოლა", ძალიან შთამბეჭდავია.

● ***მომღერლებიდან ვის უსმენ?***

— უცხოელებიდან — შერის, ქართველებიდან ლელა წურწუმიას.

● ***რომელ ფეხბურთელს მიიჩნევ ყველაზე ღირსეულად?***

— რონალდოს.

● ***ქართველებიდან?***

— ალბათ, კახი კალაძეს. ძლიერი მოთამაშეა.

● ***ისევ პირადულზე ვისაუბროთ. ალბათ, მიხვდი, რაც უნდა შეგეკითხო?***

— ვიცი, მეტყვი მყავს თუ არა მეგობარი გოგონა. ერთი თვის წინ (იცინის) ავუხსენი სიყვარული.

● ***საუბრის ბოლოს, რაიმე ცხოვრებისეულ კურიოზს ხომ არ გაიხსენებდი?***

— ერთხელ მატარებლით მივდიოდით მთელი გუნდი ქალაქგარეთ. ჩემი გუნდელი, სერგო ორბელაძე ხაჭაპურს ჭამდა. სად იყიდე-მეთქი, ვკითხე. იცი, რა მიპასუხა? ბოლო ვაგონის ბარშიო. მეც წავედი (იცინის). დავიწყე ძებნა, ყველას ვეკითხებოდი და გაკვირვებულები მეუბნებოდნენ არ ვიცითო. როცა დავბრუნდი, სერგოს ვუთხარი ვერ მივაგენი-მეთქი. არა ბიჭო, მადეთ კი არა, იქითო და სიცილი დაიწყო, მთელი გუნდი აჰყვა. ამაზე დიდხანს ლაპარაკობდა მთელი „ლოკომოტივი".

ესაუბრა **ლელა ჭანკოტაძე**




ვარჯიში 14



**ამოცანა.** ბურთით მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით.

**ორგანიზაცია და შინაარსი.** ცენტრალურ წრეში იმყოფება ჯგუფი 10-16 მომეცადინით, რომელთაგან თითოეული ბურთით ასრულებს ინდივიდუალურ დრიბლინგს მრავალნაირი მოძრაობის შესრულებით. გარკვეული დროის შემდეგ მოზარდებს ეძლევათ დავალება დაკეჭნონ ნებისმიერი პარტნიორი მოძრაობაში ბურთის დაუკარგავად. ყოველი შეხებისთვის ერიცხებათ ქულა. ამასთან, მოთამაშეები შესაბამისად გაურბიან დაკეჭნვას და ცდილობენ შეინარჩუნონ უხაფათო მანძილი.

**ინვენტარი.** თითო ბურთი თითო მოთამაშეზე.

**რეკომენდაცია.** იმარჯვებს მოთამაშე, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეეხებიან ფიქსირებულ დროში.

ვარჯიში 15



**ამოცანა.** ცრუ მოძრაობები სისწრაფეში.

**ორგანიზაცია და შინაარსი.** მოთამაშეთა ორი ჯგუფი, რომელთაგან თითოეულს აქვს თითო ბურთი, ეწყობა ერთმანეთის საპირისპიროდ 10-20 მეტრის დაშორებით. თითო მოთამაშე თითოეული გუნდიდან ერთდროულად იწყებს მოძრაობას ერთმანეთის შესახვედრად. დაახლოებით 1,5 მეტრით ერთმანეთისგან დაშორებისას თითოეული აჩვენებს მარცხნივ გასვლის მოძრაობას, მაგრამ გადის მარჯვნივ, რბენის დასრულებისას დგებიან ჯგუფის ბოლოში და მოძრაობას იწყებენ სხვა მოთამაშეები. მწვრთნელს უნდა ახსოვდეს, რომ ტემპი ვარჯიშის დასაწყისში არ იზრდება, რათა შესრულების ხარისხი იყოს მაღალი. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ შეჯახების თავიდან ასაცილებლად მოთამაშეებმა მოძრაობისას გამოიყენონ ერთი და იგივე ფეხი.

**ინვენტარი.** თითოეულ მოთამაშეზე თითო ბურთი.

**რეკომენდაცია.** ილეთების შესრულების სტაბილურობის ზრდის კვალდაკვალ იზრდება სისწრაფე და რთულდება ტარება, გვერდის ავლები, ფინტები...

ვარჯიში 16

**ამოცანა.** ბურთის ტარება მდევნელისგან გაცლით.

**ორგანიზაცია და შინაარსი.** 10-12 მოთამაშისგან შემდგარი ჯგუფიდან თითოეული ატარებს ბურთს ცენტრალურ წრეში ან მსგავს მონაკვეთში. მომენტში, როცა ერთი მოთამაშე ოდნავ დაშორდება ბურთს, მეორე ცდილობს წაართვას იგი და გააგდოს წრის გარეთ. დამკარგავი აბრუნებს წრეში ბურთს და აგრძელებს ვარჯიშს, ვინც „მოპარა", იმსახურებს ქულას. ვარჯიშის ბოლოს მოთამაშეები თავად აჯამებენ თავიანთ ქულებს, ის, ვინც მეტს მოაგროვებს, ცხადდება გამარჯვებულად.

**ინვენტარი.** თითოეულ მოთამაშეზე თითო ბურთი.

**რეკომენდაცია.** მოთამაშემ შეიძლება მიიღოს ქულა



იმისთვისაც, თუ თავად აიძულებს (მაგალითად, ახლოს დგომით და შევიწროებით) მეორეს, გავიდეს ზონის გარეთ მისი ბურთით..




**მალკოლმ კუკი**

*გაგრძელება იქნება*

დასაწყისი იხ. „ლელო" №7-13

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგა — II ჯგუფური რაუნდი, IV ტური

**A ჯგუფი**



*ინტერი — ბარსელონა 0-0*

*ინტერი:* ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, გამარა, პასკუალე, გულიელმინპიეტრო (78 სერჯიო კონსეისაო), დალმა (61, მარტინსი), კ. ძანეტი, მორფეო, ვიერი, კალონი (33. დი ბიაჯო).

*ბარსელონა:* ბონანო, რაიციგერი, პუიოლი (78. ანდერსონი), დე ბური, გაბრი, როშემბაკი (67. რიკელმე), ჩავი, კოკუ (59. მენდიეტა), მოტა, კლუივერტი, სავიოლა.

*არბიტრი:* ურს მაიერი (შვეიცარია).

*მაყურებელი:* 71 740

*ნიუკასლი — ლევერკუზენი 3-1*

*ნიუკასლი:* გივენი, გრიფინი, ბრემბლი, კოლდუელი, ბერნარი, კერი (82. ვიანა), დაიერი (70. სოლანო), სპიდი, რობერი, შირერი (81. ლუალუა), ამეობი.



*ლევერკუზენი:* ბუტი, პროისი, კლაინე, კრისი (29. ჟივკოვიჩი), პლასენტე, რამელოვი (46. ბაბიჩი), კალუჟნი, ბაშთურქი, ნოივილი (61. ბრადარიჩი), შიმაკი, ფრანსა.

*გოლები:* 1-0 შირერი (6), 2-0 შირერი (11), 3-0 შირერი (36 პენ), 3-1 ბაბიჩი (73).

*არბიტრი:* კლაუს ბო ლარსენი (დანია).

*მაყურებელი:* 40 508

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| **ინტერი** | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| **ნიუკასლი** | 4 | 2 | 0 | 2 | 8-9 | 6 |
| **ლევერკუზ.** | 4 | 0 | 0 | 4 | 5-11 | 0 |

**B ჯგუფი**

*ვალენსია — რომა 0-3*

*ვალენსია:* კანისარესი, რევეიერი, აიალა, პელეგრინო (77. კარბონი), ფაბიო აურელიო, ალბელდა, ბარახა, რუფეტე (64. აიმარი), ვისენტე (52. კილი გონსალესი), სანჩესი, კარუ.

*რომა:* ანტონიოლი, ზებინა (63, კუფრე), სამუელი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, ემერსონი, ტომაზი, ლიმა, ტოტი (88. ფუზერი), კასანო (90. გიგუ).

*გოლები:* 0-1 ტოტი (24), 0-2 ტოტი (30), 0-3 ემერსონი (36).

*არბიტრი:* ფრანკ ბლეეკერი (ბელგია).

*მაყურებელი:* 35 000.

*აიაქსი — არსენალი 0-0*

*აიაქსი:* ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, ვიჩგე, დე იონგი, გალაშეკი (71. იაკუბუ), პიენაარი (90. სნეიდერი), მაქსველი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (84. მიდო).

*არსენალი:* სიმენი, ლორენი, კემპბელი, კიოუნი, კოული, ვილტორი (79. ჯეფერსი), ჟილბერტუ სილვა, ვიეირა, პირესი (87. ვან ბრონკჰორსტი), ბერგკამპი (79. პარლორი), ანრი.

*არბიტრი:* ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

*მაყურებელი:* 51 000

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | 4 | 1 | 3 | 0 | 4-2 | 6 |
| **აიაქსი** | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| **ვალენსია** | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| **რომა** | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |

## რომარიო: არ წავალ, სანამ მეათასეს არ გავიტან

ბრაზილიელმა ფორვარდმა რომარიომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფეხბურთს ითამაშებს მანამ, ვიდრე მეათასე გოლს არ გაიტანს. ბოლო მატჩში „ფლემინენესთან" მან ჰეთ-ტრიკი შეასრულა და თავის ანგარიშზე გატანილი გოლების რაოდენობა 861-მდე გაზარდა. „მე ათას გოლამდე ვთამაშობ, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვკიდებ ბუცებს ლურსმანზე", — განაცხადა 37 წლის რომარიომ, რომელიც მარტიდან სამი თვით თავის კარიერას კატარიში, კლუბ „ალ იტიხაში" გააგრძელებს, ივნისიდან კი „ფლემინენსეში" გადავა.



## მიოლერი ერთი თვე ვერ ითამაშებს

**გერმანულ საფეხბურთო კლუბ „შალკეს" ერთი თვით გამოაკლდება ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშე ანდრეას მიოლერი. 35 წლის მიოლერმა ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო. სხვათა შორის, მიოლერი სეზონის დასრულებისთანავე საფეხბურთო კარიერის დამთავრებასაც აპირებს.**

## აღმოსავლეთ ევროპული კლუბები ახალ ტურნირს ჩაატარებენ

გაიმართა აღმოსავლეთ ევროპული კლუბების ხელმძღვანელთა ფორუმი, რომელზედაც გადაწყვიტეს ახალი სახის საფეხბურთო ტურნირის ჩატარება უეფას ეგიდით. ეს შეჯიბრება სათამაშო დონის ამაღლების საშუალებას მისცემს იმ კლუბებს, რომლებიც გამოეთიშებიან ჩემპიონთა ლიგასა თუ უეფას თასის გათამაშებას.

წინასწარი მონაცემებით, ტურნირში 9 ქვეყნის (რუმინეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, სერბია-ჩერნოგორია, სლოვენია, ხორვატია, თურქეთი, უკრაინა) 16 კლუბი იასპარეზებს. აქვე გეტყვით, რომ ფორუმში მონაწილეობდნენ „ოლიმპიაკოსის", „პარტიზანის", „ცრვენა ზვეზდას", „აპოელის", ბუქარესტის „დინამოს", „სტიაუასა" და „რაპიდის" წარმომადგენლები. მომდევნო ფორუმი, რომელზედაც დამტკიცდება ტურნირის ჩატარების თარიღები, ივნისში შედგება.

## სიმენი მწვრთნელი გახდება?

**ლონდონის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ გოლკიპერი დევიდ სიმენი მისი კოლეგა გახდება. ეს განხორციელდება მაშინ, როცა სიმენი მეკარეობას შეწყვეტს.**

**„მე მას შევთავაზე კონტრაქტი მეკარეთა მწვრთნელის თანამდებობისათვის", — განაცხადა ვენგერმა.**



ანჩელოტი

## ანჩელოტი: „ახლა სერია „ა"-ს მივხედავთ"

მას შემდეგ, რაც კახი კალაძის „მილანმა" მოსკოვის „ლოკომოტივის" დამარცხების შედეგად ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის საგზური ვადამდე მოიპოვა, მთავარი მწვრთნელი ყურადღების გამახვილებას სერია „ა"-ს მატჩებზე აპირებს.

„ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის დანარჩენი მატჩები აღარ გვაღელვებს. ჩვენ უკვე მეოთხედფინალში ვართ და, ცხადია, ახლა სერია „ა"-ზე უნდა ვიფიქროთ: იქაც ჩვენი ამოცანა მხოლოდ გამარჯვებაა, რასაც, იმედი მაქვს, მივაღწევთ კიდეც" — ამბობს ანჩელოტი.

## გრიპის ვირუსმა ახალი ძალით შეუტია „ბებერ ქალბატონს"

**ტურინის „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხებაში კვლავ დიდი წვლილი „მიუძღოდა" გრიპის ეპიდემიას, რომელმაც ამ გუნდში ახალი ძალით იფეთქა. მოთამაშეთა ნახევარზე მეტი თავს შეუძლოდ გრძნობს.**

## კალაძე: როცა შევჩენკო მოედანზე არ არის, ვგრძნობ დანაკლისს...

**მოსკოვში, „ლოკომოტივთან" თამაშის შემდეგ რუსმა ჟურნალისტებმა, ინტერვიუ ჩამოართვეს „მილანის" ქართველ ლეგიონერს კახი კალაძეს.**



კალაძე

● ***როგორი განწყობილებით დაბრუნდით იტალიაში?***

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რომ „მილანმა" კვლავ იმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის საგზური ვადამდე მოიპოვა. ახლა, მთელ ძალებს სერია „ა"-ს მატჩებს დავახარჯავთ.

● ***თვით „ლოკომოტივი" — „მილანის" მატჩზე რას იტყოდით?***

— ძნელი თამაში იყო. „ლოკომოტივი" ძალიან ცდილობდა წარმატების მიღწევას, თუმცა „მილანს" უფრო მეტი საგოლე მომენტი ჰქონდა. ჩვენი გუნდის გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო.

● ***მატჩში არ თამაშობდა, ანდრეი შევჩენკო...***

— როცა ანდრეი მოედანზე არ არის, ყოველთვის ვგრძნობ დანაკარგს. ვიცი, რომ ბევრი მაყურებელი სწორედ შევჩენკოს სანახავად მოვიდა სტადიონზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ ითამაშა.

## განხეთქილებამ აზერბაიჯანულ ფეხბურთში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია

**აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკით უკმაყოფილო გუნდებმა რადიკალური გადაწყვეტილება მიიღეს და აშშ-ს კონგრესს მიმართეს.**

*მიმართვაში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის უკანონო მოქმედებების წინააღმდეგ გამოსვლების დროს ქვეყნის კლუბების ხელმძღვანელები არ გრძნობენ არანაირ მხარდაჭერას უეფასა და ფიფასაგან. პირიქით, კლუბების ხელმძღვანელთა აზრით, უეფა და ფიფა ასეთი უყურადღებობის გამოჩენით ხელს უწყობენ ფედერაციას უკანონო საქმიანობაში.*

*რამდენიმე კლუბმა პროტესტის ნიშნად აზერბაიჯანის ჩემპიონატი მიატოვა კიდეც და 19 თებერვალს მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო. „ჩემპიონატიდან გამოსული კლუბების პროტესტი გამოწვეულია იმით, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია სისტემატურად არღვევს ქვეყნის კანონმდებლობას, – აზერბაიჯანულ ფეხბურთში შექმნილი სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა 22 თებერვალს მომხდარმა ფაქტმა, როცა ფედერაციიდან დაკარგული მნიშვნელოვანი დოკუმენტების ძიების მიზნით სტადიონ „შაფას" გენერალური დირექტორის ო. ზეინალოვის ბინაში შეიჭრა 15 პიროვნება. იმ მომენტისათვის გენდირექტორი შინ არ იმყოფებოდა, „სტუმრებს" პიროვნების დამადასტურებელი საბუთებიც არ წარუდგენიათ, შეურაცხყოფა მიაყენეს ზეინალოვის მეუღლეს, ჩაატარეს ჩხრეკა, თუმცა ვერაფერი „ხელჩასაჭიდი" ვერ იპოვეს" – ნათქვამია აშშ-ს კონგრესისადმი მიმართვაში.*

*ჩემპიონატიდან განდევნილები შექმნილი ქაოსის მთავარ დამნაშავედ ქვეყნის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევსა და მის შვილს ასახელებენ, მიმართვა (რომლიდანაც მოკლე შინაარსი შემოგთავაზეთ) აშშ-ს კონგრესისადმი შემთხვევით არ გაუგზავნიათ – ახლა სწორედ იქ იმყოფება ჰეიდარ ალიევი.*

## დიდას ახდენილი ოცნება

„მილანის" გოლკიპერს ბრაზილიელ დიდას არასოდეს დაავიწყდება მოსკოვური ვოიაჟი. გარდა იმისა, რომ მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მორიგი მატჩი მოიგო „ლოკომოტივთან", დიდას დიდი სიურპრიზი ელოდა რუსეთის დედაქალაქში. თურმე ბრაზილიელი ბავშვობიდანვე ოცნებობდა, შეხვედროდა კუმირს — საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდარულ მეკარეს რინატ დასაევს და აი, მისი ოცნებაც ასრულდა: გარკვეული ხნის განმავლობაში დიდა დასაევთან ერთად სასტუმროს ჰოლში აღმოჩნდა და თავის ბავშვობის კერპს პირისპირ ესაუბრა (სურათზე).



## „ბლექბერნს" ინტერტოტოზე ასპარეზობა არ სურს

**ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ბლექბერნის" ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე. მათ მიაჩნიათ, რომ კლუბმა ინგლისის პრემიერლიგაში მაღალი ადგილის დასაკავებლად უნდა იბრძოლოს, ხოლო ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეობა მიზნის განხორციელებაში შეუშლით ხელს.**

**„შეიძლება უეფას თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ, თუმცა საამისოდ ძალების სრული მობილიზება საჭირო" — განაცხადა „ბლექბერნის" მწვრთნელმა გრემ სუნესმა.**



## გიგზი ბედნიერია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშე რაიან გიგზი (სურათზე) სულაც არ აპირებს სხვა გუნდში გადასვლას. ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადა კიდეც ჟურნალისტებთან შეხვედრაში.

საინტერესოა, რომ ამ ფეხბურთელისადმი ინტერესს ავლენს „ინტერი", თუმცა რაიანს სულაც არ აინტერესებს იტალიელთა პირობები.

„მე ბედნიერი ვარ იმით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" ვთამაშობ. ძალიან მინდა, რომ ამ კლუბში დავრჩე, — ამბობს გიგზი.

# პონომარევ-კასპაროვის მატჩს ბუენოს-აირესი უმასპინძლებს

**ბუქარესტში შედგა ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს უმნიშვნელოვანესი სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ჭადრაკში მსოფლიოს „გამაერთიანებელ“ ჩემპიონატზე: გადაწყდა, რომ ივნისში, ბუენოს-აირესში ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ფიდეს ეგიდით მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარევი და მსოფლიოს ექსჩემპიონი გარი კასპაროვი.**







სხვათა შორის, 76 წლის წინათ ბუენოს-აირესმა უმასპინძლა ლეგენდარული მოჭადრაკეების — ალექსანდრე ალიოხინისა და ხოსე-რაულ კაპაბლანკას მატჩს.

კასპაროვ-პონომარევის მატჩი იქნება პირველი სერიოზული ნაბიჯი მსოფლიო ჭადრაკის გაერთიანებისკენ. საქმე ის არის, რომ უნდა ჩატარდეს მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ვლადიმირ კრამნიკსა და პეტერ ლეკოს შორის. ნახევარფინალურ მატჩებში გამარჯვებული მოჭადრაკეები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში, სადაც გამოვლინდება მსოფლიოს ჩემპიონი.

როგორც ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა განაცხადა, რეგლამენტის მიხედვით მოჭადრაკეებს ხუთი საათი მიეცემათ.

ბუქარესტშივე ისიც დაადგინეს, რომ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი (2003-2005 წ.წ.) დაიწყება მიმდინარე წლის ნოემბერში ან დეკემბერში.

# ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე ყველა ბილეთი გაიყიდა

**26 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით ფინეთის ქალაქებში — ტამპერეში, ტურკუში და ჰელსინკში ჩატარდება ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. დღეისათვის ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთები სრულად გაყიდულია და ამით ფინელებმა აასრულეს „მუქარა“ იმისა, რომ დასწრების მხრივ მათ მიერ ორგანიზებულ მსოფლიო ჩემპიონატზე რეკორდი დამყარდება.**

**ბილეთების ფასი მეოთხედფინალებზე 60-დან 140 ევრო ღირდა, ხოლო ფინალურ მატჩზე დასწრება — 140-250 ევრო. სულ დაახლოებით 5 მილიონამდე ევროს ღირებულების ბილეთია გაყიდული.**

# უილიამსს აგასის წინააღმდეგ თამაში არ სურს

ამერიკელი ჩოგბურთელი ვინუს უილიამსი სკეპტიკურად უყურებს საჩოგბურთო მატჩებში მამაკაცებისა და ქალების პირისპირ შეხვედრას. ამას წინათ, ასეთ პრეცენდენტს ჰქონდა ადგილი გოლფში, როცა ანიკა სორენსტამმა გადაწყვიტა გაჯიბრებოდა მამაკაცთა შორის საუკეთესო გოლფისტებს. უილიამსი კი თვლის, რომ ჩოგბურთში ასეთ მატჩებს აზრი არა აქვს. „გოლფი აბსოლუტურად ინდივიდუალური სახეობაა, ჩოგბურთში კი სიტუაცია ისეთივეა, როგორც კრივში. აბა, წარმოიდგინეთ, — შეძლებს ლეილა ალი, იბრძოლოს ლენოქს ლიუისის წინააღმდეგ? ასევე არც მე შემიძლია, ძლიერად ვითამაშო აგასთან შეხვედრაში“, — განაცხადა უილიამსმა.

# ნბა

## „იუტამ“ ისევ წააგო

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ისევ დამარცხდა „იუტა ჯაზი“. ამჯერად ამ გუნდმა სტუმრად ვერაფერი გააწყო „მინესოტას“ წინააღმდეგ — 85:92. სტუმართაგან ყველაზე მეტი ქულა კარლ მელოუნმა მოაგროვა (19).

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „დენვერმა“ შინ 10 ქულით (84-94) წააგო „პორტლენდთან“. ასეთივე ბედი ეწია ვლადიმერ სტეფანიას „მაიამის“ სტუმრად „ნიუ-ორლეანთან“ (82-91).

***სხვა მატჩები:*** „სიეტლი“ — „ატლანტა“ 93:76, „ნიუ ჯერსი“ — „ნიუ იორკი“ 105:96, „ბოსტონი“ — „ინდიანა“ 71:69, „კლიპერსი“ — „გოლდენ სტეიტი“ 94:108, „ჩიკაგო“ — „ტორონტო“ 103:95, „მილუოკი“ — „ფინიქსი“ 112:118, „ფილადელფია“ — „მემფისი“ 111:107.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯორდანმა ტრავმა მიიღო



**კალათბურთის ვარსკვლავმა მაიკლ ჯორდანმა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩში „ინდიანასთან“ ტრავმა მიიღო და მომდევნო თამაშს გამოტოვებს, „ინდიანასთან“ შეხვედრის მეოთხე პერიოდში მას „ვაშინგტონის“ ლიდერი რეჯი მილერი შეეჯახა.**

# საჩემპიონო თასმა ბანკეტებს ვეღარ გაუძლო

**რუსეთის ჰოკეის ფედერაციამ გადაწყვიტა რეკონსტრუქცია ჩაუტაროს ქვეყნის ჩემპიონისათვის განკუთვნილ თასს, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე თამაშდებოდა. საქმე ის არის, რომ რუსეთის ჰოკეისტთა კლუბებისათვის სანუკვარმა ჯილდომ მხოლოდ 5 ბანკეტს გაუძლო და დაზიანდა (ჩემპიონები თასიდან სვამდნენ შამპანურს). რეკონსტრუქციას კილონახევარი ვერცხლი სჭირდება, შეკეთების შემდეგ თასს ოქროში ამოავლებენ.**

# ჩესნოკოვს საფრანგეთში ასამართლებენ



**პარიზის სასამართლოს წინაშე წარსდგა ახლო წარსულში ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ანდრეი ჩესნოკოვი (სურათზე), რომელსაც ბრალი ედება საფრანგეთში ცხოვრების მანძილზე გადასახადების თავის არიდებაში.** ჯერ კიდევ 2000 წლის 22 სექტემბერს სასამართლომ ჩესნოკოვს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 30,4 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. ჩესნოკოვმა მოითხოვა 2000 წლის განაჩენის უარყოფა იმ მოტივით, რომ მან არ იცოდა საფრანგეთის საგადასახადო კანონი. გარდა ამისა, მან წარადგინა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ 1994-1995 წლებში ჩესნოკოვი ძირითადად საზღვარგარეთულ ტურნირებში მონაწილეობით იყო გართული.

მთავარ ბრალმდებელს სასამართლოზე არ დაუჟინებია რუსი ჩოგბურთელის ციხეში გამწესება. საბოლოო გადაწყვეტილებას 2 აპრილს გამოიტანენ.

**საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წარსულში ცნობილი ველომოტომრბოლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ველოსპორტში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენის კავალერის**

**ავთანდილ გუნიას**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი სპორტსმენის, ჩინებული სპეციალისტისა და პიროვნების**

**ავთანდილ გუნიას**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სპორტსმენი და სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ველოსპორტში, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი**

**ავთანდილ გუნია.**

**შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი, გორის გამგეობა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამხარეო ორგანიზაცია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გორის „დილას“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი**

**თენგიზ ბურჯანაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ფეხბურთის ფედერაცია, მცხეთის საფეხბურთო კლუბი „მცხეთა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გორის „დილას“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, ბრწყინვალე პიროვნების**

**თენგიზ ბურჯანაძის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებს, გორის მთელ საზოგადოებრიობას.**

**ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება გორის „დილას“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის, მაღალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნების**

**თენგიზ ბურჯანაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**28 თებერვალი, პარასკევი**

***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „დეპორტივო“ – „ბაზელი“ (13.20), „ნიუკასლი“ – „ბაიერი“ (15.00), „ვალენსია“ – „რომა“ (17.15), „ფუტბოლ მუნდიალი“ (16.45), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (19.20), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი“ (22.30). ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.45). ***НТВ плюс спорт.*** ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (11.45). ფიგურული ციგურაობა. გრან-პრი (13.25, 19.25 ფინალი), ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (0.10), სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერაგენტი (1.35). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (12.00, 13.15, 16.45), ფეხბურთი. უეფას თასი. მე-4 წრე. საპასუხო მატჩები (22.45). სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.45), დარბაზის ფეხბურთი. მიმოხილვა. იტალიიდან (3.45).

**1 მარტი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.15). ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი: „კოლო-კოლო“ – „ბოკა ხუნიორსი“ (13.45), „ფუტბოლ-მუნდიალი“ (15.55). ინგლისის ჩემპიონატი: „ნიუკასლი“ – „ჩელსი“. პირდაპირი ტრანსლაცია (16.25), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.25, 20.45), „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი“ (22.30), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (1.15) – თავისუფალი დარტყმა. ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასი (11.45, 12.25, 23.15). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (16.30), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი. ფინალი (19.00). ჰოკეი. ნხლ-ს ჩემპიონატი (0.00. პირდაპირი რეპორტაჟი), ტაილანდური კრივი (2.30). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (12.30, 15.30, 16.30, 19.30). სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00).

**2 მარტი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** მსოფლიო ფეხბურთი (19.30). ***ტელეცენტრი.*** ფიგურული ციგურაობა. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. თავისუფალი პროგრამა (13.55), საჩვენებელი გამოსვლები (0.40). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი. „ნიუკასლი“ – „ჩელსი“ (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი (15.00). ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (16.45). იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55, 20.25), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.25). ესპანეთის ჩემპიონატი (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასი (11.45, 13.15, 17.00). ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი. საჩვენებელი გამოსვლები (14.00), სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი (18.35), „დიდი რინგი“ (20.00), პლანეტის საუკუნის საუკეთესო ათლეტები (2.25). ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (0.05), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასი (12.30, 14.00, 15.00), სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთიდან. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00). სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი ატლანტადან (17.00). კრივი. პროფესიონალები (0.00).

## კროსვორდი № 14




თარაზულად: 3. ბოლო წლებში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 6. საასპარეზო ანუ... 8. წარსულში ცნობილი ძიუდოისტი, ამჟამად ფედერაციის პრეზიდენტი, 11. სრული მარცხი, 13. ქართველი მოჭადრაკე ქალის სახელი, 15. წარსულში დინამოელი ფეხბურთელი, 18. სანიავებლის მსგავსი ილეთი რაგბში, 19. თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა მთავარი მწვრთნელის სახელი, 21. იყო კლეი, გახდა... 22. გრძელ მანძილზე მორბენალი, 23. სპორტნაწარმის ფირმა.

შვეულად: 1. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 2. დაღუპული ლეგენდარული ავტომრბოლი, 3. საკალათბურთო ასოციაცია, 5. შეფასების გამომხატველი ქულა და კიდევ... 7. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, 9. ოლიმპიური (1972), მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი რუსი კალათბურთელი ვაჟი, 10. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპ. ჩემპიონი, 12. თანამედროვე ქართველი ძიუდოისტი, 14. 11-მეტრიანი... 16. მძლეოსნობაში სატყორცნი იარაღი, 20. მძლეოსნობაში ყველაზე მძიმე საგანი, 21. ყველაზე მაგრად დასტატებული, უმაღლესი დონის სპორტსმენი, მფრინავი და ა.შ.

**კროსვორდი №13-ის პასუხები:**

თარაზულად: 1. ზურებიანი, 6. „ბრაგა“, 7. „რაპიდი“, 9. სეტი, 10. ანრი, 12. მაშელი, 13. ლოზანა, 16. კატო, 17. „მეშელენი“, 20. ლეიბი, 21. ესტაფეტა.

შვეულად: 1. ზურნა, 2. ბადე, 3. „ნაპოლი“, 4. ბეკენბაუერი, 5. პანია, 8. პარაშუტი, 11. გოგელია, 12. მეკარე, 14. ალიევი, 15. ფეოლა, 18. ფრე, 19. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)




**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. კb7! 1. ...მფe5 2. მ:d3X. 1. ...მფe3 2. მe6X. 1. ...მფc3 2. მa4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე